ხაშურის მოამბე

№11 (92) 20 მარტი, ორშაბათი, 2017 წელი

იმსჯელეს „ივერიის“ სტადიონის შესახებ

ამ დღეებში, ხაშურში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი, პარლამენტის წევრები: ბიძინა გეგაძე, ირაკლი აბუსერიძე და კობა კობალაძე. ოფიციალურმა სტუმრებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელ გიორგი გურასპაშვილთან, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატ სიმონ ნოზაძესთან და გამგეობის სხვა წევრებთან ერთად, დაათვალიერეს ხაშურის „ივერიის” სტადიონი და იმსჯელეს მისი რეაბილიტაციის გზებზე. ითქვა, რომ, ამ ეტაპზე, ცხრამუხაში მოეწყობა მორაგბეთა სტადიონი, შემდგომში დაიგეგმება და ხაშურის „ივერიის“ სტადიონის ადგილზე აშენდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი სტადიონი.

ხიდი რეაბილიტირებულია, მოძრაობა აღდგა

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი ხალების და ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

იმის გამო, რომ ხიდი ავარიული იყო და მისი გამოყენება საფრთხეს შეიცავდა, მოსახლეობას ხცისის შემოვლითი გზით სარგებლობა უწევდა, რაც დამატებით ხარჯებთან და დროსთან იყო დაკავშირებული. მუნიციპალიტეტის გამგეობამ პრობლემის აღმოსაფხვრელად 23 769 ლარი გამოყო და მოხდა მავთულბადის, ხის მასალის და დაწყვეტილი ბაგირების აღდგენა.

საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში მთლიანად დასრულდება, თუმცა, ხიდზე გადაადგილება, ამ დროისთვის უკვე შეუფერხებლად მიმდინარეობს.

უახლოეს მომავალში ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების: დიდი სატივეს, პატარა სატივეს, ახალსოფლის და აგარების გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყება

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის №75 განკარგულებით, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისთვის საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ დაევალა გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შესრულება, მათ შორის, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე, სოფლების: დიდი სატივეს, პატარა სატივეს, ახალსოფლის, აგარების გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოების შესრულება.

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის მხრიდან, გაცემულია ნებართვა სამუშაოების შესრულებაზე დიდ სატივეში, პატარა სატივეში და ახალსოფელში. უახლოეს პერიოდში, შეთანხმებული და დამტკიცებული იქნება პროექტი სოფელ აგარის გაზიფიცირებაზე.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღნიშნული სოფლების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება.

„გამოიწერეთ და იკითხეთ „ხაშურის მოამბე“

მეუფე სვიმეონი - საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის ყველაზე ახალგაზრდა ეპისკოპოსი

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდში, სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე სვიმეონი, ყველაზე ახალგაზრდაა.

ეპისკოპოსი სვიმეონი, ერისკაცობაში თეიმურაზ ცაკაშვილი, 1982 წლის 9 აგვისტოს, ქალაქ სიღნაღში, თამაზ ცაკაშვილისა და ლალი მარტყოფლიშვილის ოჯახში დაიბადა. 1999 წელს თბილისის მე-100 საჯარო სკოლა დაამთავრა. იმავე წელს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ჩააბარა. პარალელურად გადიოდა თეოლოგიურ სწავლებას.

"2000 წლიდან სათავეში ჩავუდექი, მშობლიურ მხარეში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის, წმინდა გიორგის (ორი ტაძარი) და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის აღდგენა-რესტავრაციას. ამ ტაძრებიდან არცერთი არ იყო მოქმედი. ზოგი პირუტყვის სადგომად იყო ქცეული, ზოგიც ბანქოს სათამაშოდ. იმ დროისათვის ,ძნელი წარმოსადგენი იყო, ზოგადად, მოძღვრის ფუნქცია, ეკლესიების აღდგენა და ფუნქციონირება, რადგან უფროსი თაობის კომუნისტური აზროვნება გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა, თუმცა, სოფლის დიდი ძალისხმევითა და თანადგომით, ოთხი წლის განმავლობაში, სიკეთით დასრულდა სამივე ტაძრის რესტავრაცია, სადაც დღესაც აღევლინება საღმრთისმსახურო წირვა-ლოცვები", - ამბობს მეუფე ერთ-ერთ ინტერვიუში.

1999-2003 წლებში, ეპისკოპოსი სვიმეონი სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხის დამუშავების საწარმოთა მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სპეციალობაზე. რამდენიმე წელი, ნინო რამიშვილის საავტორო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. 1999 წლიდან კი თბილისის მამა დავით გარეჯელის სახელობის ეკლესიის მრევლი და მგალობელია. ასევე, პერიოდულად, გალობდა სვეტიცხოვლისა და სიონის საპატრიარქო ტაძრებში. ამავე წლებში, ბოდბის ეპარქიაში რამდენიმე ტაძრის რესტავრაციას ხელმძღვანელობდა.

2004 წლიდან რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) პირად მორჩილებაშია.

2005 წელს, 23 წლის ასაკში, ბერად აღიკვეცა. 2006 წლის 4 დეკემბერს, 24 წლის ასაკში, ქოზიფის მამათა მონასტერში, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე, მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა, დიაკვნად დაასხა ხელი.

2006 წლის 1 მარტს, ასევე მიტროპოლიტმა იობმა, ბერთუბნის მონასტერში, წმინდა მარიამ ეგვიპტელის სახელობის ტაძარში, მღვდლად აკურთხა და საჭიროებისამებრ, ამ მონასტრის კეთილმოწესედ დაადგინა. მალევე დაადგინეს დაბა სურამის წმიდა იობმრავალჭვნებულის სახელობის რეზიდენციასთან არსებული მონასტრის წინამძღვრად. ერთი წლის მსახურების შემდგომ, აღდგომას, ბრწყინვალე შვიდეულში, მისი ყოვლადუსამღვდელოესობის ლოცვა-კურთხევით, დაადგინეს ურბნისის საკათედრო ტაძართან არსებული რეზიდენციის მონასტრის წინამძღვრად. აქ მსახურების დროს, მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით, ხელმძღვანელობდა და აწარმოებდა ძამის ხეობის ბერმუხის მამათა მონასტრის აღდგენა-რესტავრაციას.

"ურბნისში 1 წლისა და 2 თვის მოღვაწეობის შემდეგ გადამიყვანეს და დამადგინეს ყინწვისის წმიდა ნიკოლოზის სახელობის მონასტრის წინამძღვრად, სადაც 22 მაისს, იღუმენის ხარისხში ამიყვანეს და ოქროს ჯვრით დამაჯილდოვეს. საკმაოდ დიდი ტვირთი იყო არსებული ისტორიული მონასტრის წინამძღვრობა და მსახურება. ამასთან, დაერთო 2008 წლის აგვისტოს ომი, რომლის დროსაც, ასობით ჯარისკაცისა და მოსახლეობის შეფარება, მათი უზრუნველყოფა მოგვიხდა. მონასტერში ბერთა სიმრავლისა და სივიწროვის მიზეზიდან გამომდინარე, მონასტრის გაფართოვება გადაწყდა, რომელიც ამავე წლის ზამთრის დადგომამდე დასრულდა", - იხსენებს მეუფე.

ისტორიული ბანას ტაძრის მსგავსი არქიტექურის ეკლესია ხაშურშიც აიგება

მეუფე სვიმეონი მალევე გადადის სოფელ ხცისის თავზე მდებარე წმინდა გიორგის VIII საუკუნის მიტოვებულ ნამონასტრალში. მრევლის თანადგომით, განახლდა ტაძარი და მის გვერდით შეიქმნა და აშენდა ახალი მამათა საცხოვრებელი მონასტერი. მონასტერს ყორანქედი ეწოდა (სოფლის უხუცესებთან გამოკითხვის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ის მთა, სადაც მდებარეობდა ზემოთ აღნიშნული ტაძარი და ნამონასტრალი, ცნობილი იყო "ყურაქედის" სახელით. ნამონასტრალი კი წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელს ატარებდა. იმის გამო, რომ მონასტერში და მთის მწვერვალზე ხშირად ბუდობდნენ ყორნები, ეს უკანასკნელნი კი გადმოცემის თანახმად, კვებავდნენ წმინდა ილია წინასწარმეტყველს, მონასტერს "ყორანქედი" ეწოდა). ამ მონასტერში მსახურობის პერიოდში, მონასტრის საჭიროებისამებრ, წმინდა გიორგის ტაძრის სივიწროვის და მრევლის სიმრავლის გამო, გადაწყდა დიდი ზომის ტაძრის აშენება. მართლაც, აშენდა ღვთისმშობლის ჯვარგუმბათოვანი, ორსართულიანი ტაძარი. სართულქვეშ, წმიდა ელია წინასწარმეტყველის, წმინდა ნიკოლოზისა და წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ტაძრებია.

ამავე პერიოდში, უწმინდესის ლოცვა-კურთხევითა და მეუფე იობის დავალებით, მეუფე სვიმეონი ხელმძღვანელობს დავით გარეჯში არსებული წმინდა დოდო

გარეჯელის სახელობის უძველესი სენაკებისა და მონასტრის აღდგენას, ასევე, დაევალა ბერთა საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. მეუფე სვიმეონის ორგანიზებით, აღნიშნული სამუშაოები დროულად დასრულდა. ამის შემდეგ, მეუფე იობმა აკურთხა და განაახლა მონასტრის შერყეული ტრაპეზი, რამაც საფუძველი დაუდო სამონასტრო ცხოვრების აღდგენასა და მის წინამძღვრად იღუმენი სერაპიონი დაინიშნა. პარალელურად, მიმდინარეობდა ყორანქედის საცხოვრებლებისა და მეურნეობის განვითარება. იმ დროისთვის, მიტროპოლიტ იობის ლოცვა-კურთხევით, მეუფე სვიმეონი ხელმძღვანელობს სოფელ ხცისის წმიდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერს, სოფელ კრისხევის ყოვლადწმიდა სამების დედათა მონასტერსა და წმიდა ნიკოლოზის ტაძარს.

მამა სვიმეონი (ცაკაშვილი), 2013 წლის 11 ოქტომბერს, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე ახლადშექმნილი სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსად აირჩიეს.

2014 წლის სექტემბრიდან, ყოვლადუსამღვდელოესი სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსი სვიმეონი (ცაკაშვილი), ხაშურში, საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონს უძღვება.

2015 წლის 25 აპრილს, მეუფე სვიმეონის ლოცვა-კურთხევით, ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში, გაიმართა სურამისა და ხაშურის ეპარქიის პირველი სამეცნიერო, ინტერდისციპლინარული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი მკვლევარები და სტუდენტები.

2016 წლის 9 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოში, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოს სვიმეონის (ცაკაშვილი) ხელმძღვანელობით, ბანას ტაძრის მაკეტისა და პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ამ ახალი ეკლესიის აშენება იგეგმება ხაშურში და მიზნად ისახავს, ამჟამად, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ბანას ისტორიული (შემორჩენილია ნაგებობის მხოლოდ 20 პროცენტი) ტაძრის მსგავსის აგებას.

2013 წლიდან, ახლად შექმნილი ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია დროებით დაბა სურამში განთავსდა, ხოლო 2017 წლისთვის სრულდება სოფელ ქვიშხეთში, სუმბათაშვილების ყოფილი სასახლის რეაბილიტაცია, სადაც განთავსდება სურამისა და ხაშურის ეპარქიის მღვდელმთავრის რეზიდენცია.

მეუფე სვიმეონი უდიდესი სიყვარულით სარგებლობს მრევლში, რაც მისი დაუღალავი ღვაწლის შედეგია.

გოჩა ბარბაქაძე: ჩვენი მიგანია ადამიანურ რესურსს სწორი მიმართულება და ფორმირება მიცემა

ჩვენი ქვეყნისთვის, მთავარ გამოწვევად, დღემდე უმუშევრობის პრობლემა ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს და კერძო სექტორის მთავარ საზრუნავს სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმება წარმოადგენს, დამეთანხმებით, პრობლემა, პრობლემად რჩება. ჩვენი გაზეთის საშუალებით, მკითხველს ჰქონდა ინფორმაცია, სოციალური მომსახურების სააგენტოს იმ პროგრამებზე, რომლებიც სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციას, მათ გადამზადებას და მეორადი სპეციალობის შეძენას ეხებოდა. დღეისათვის დაემატა კიდევ ერთი, სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შმმ პირთათვის სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს. თემის აქტუალობიდან

გამომდინარე, კიდევ ერთხელ და უფრო დეტალურად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხაშურის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსს **გოჩა ბარბაქაძეს** ვესაუბრეთ: ბატონო გოჩა, მოგეხსენებათ პრობლემის მნიშვნელობა, რას აკეთებს სახელმწიფო სამუშაოს მაძიებელთა დასახმარებლად?

–ოთხი წელია სახელმწიფოში მოქმედებს დასაქმების პროგრამა. დასაქმების პროგრამის ძირეული პრინციპი დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის სწრაფი კომუნიკაცია და შესაბამისი პირობების შექმნაა, რაც ითვალისწინებს შემდგომს: ჩვენ ვარეგისტრირებთ სამუშაოს მაძიებლებს, ვინიშნავთ მათ მონაცემებს, პარალელურ რეჟიმში, ვთავაზობთ მათ პროფესიულ გადამზადებას. ამის განსახორციელებლად, არსებობს სახელმწიფო პროგრამა, აბსოლუტურად უფასოდ-გარკვეული ვადით, ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ დაწესებულებებში ხდება მათი გადამზადება დაახლოებით 68 პროფესიაში, ესენია: ავეჯის კონსტრუქტორი, ბაგა-ბაღის აღმზრდელი, ავტომობილის ზეინკალი, ბარმენი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, მებაღე, მეფუტკრე, დურგალი, გიდი, ელექტროშემდუღებელი და სხვა პრაქტიკული პროფესიები, რომლებიც მოამზადებთ მათ თანამედროვე დასაქმების ბაზრისთვის. მათ სახელწიფო ბაზაზე შექმნილ კოლეჯებში უწევთ პროფესიული გადამზადება, რომელსაც სახელმწიფო იღებს თავის თავზე. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, შეუძლია სურვილისამებრ შეიძინოს პროფესია.

ცალკე თემაა მუშაობის მაძიებლის დარეგისტრირება ჩვენს ბაზაში-ჩვენ ვუკეთებთ შეთავაზებას,პარალელურად,ვმუშაობთ დამსაქმებლებთან,რომლებიც გვაწვდიან ვაკანსიებს და ჩვენ ვთავაზობთ ჩვენთან დარეგისტრირებულ მუშაობის მაძიებელს. რაც შეეხება პროფესიის შეძენის მსურველს, მან უნდა მოგვმართოს სოციალური მომსახურების ხაშურის რაიონულ ცენტრში, ჩვენ ვუკეთებთ სპეციალურ მიმართვას შესაბამის უწყებაში და სწავლის ახალი ციკლიდან ერთვებიან გადამზადების პროცესში.

- მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის პრობლემა საქართველოში ძალიან მწვავეა, რამდენად დიდია გადამზადების მსურველთა მომართვიანობა?

–მათი რიცხვი არაა დიდი,მიუხედავად ამისა,ვერ ვიტყვი,რომ ინფორმირებულები არ არიან, ჩვენ რეგულარულად ვმართავთ შეხვედრებს მოსახლეობასთან. 11 სახის სახელმწიფო გასაცემელი გვაქვს, როდესაც მოდიან შრომისუნარიანი ადამიანები გარკვეული პრეტენზიებით, ვთავაზობთ გადამზადების პროგრამას, რომ გაუჩნდეთ დასაქმების რეალური შანსი. გარდა ამისა, გვაქვს სოფლებში



რწმუნებულებთან შეხვედრები, ვირჩევთ ჯგუფებს, შეხვედრები გვქონდა დევნილებთანაც. ყოველთვის მზად ვართ ინფორმაციის მიწოდებისთვის.

- თუ არსებობს მონაცემები, რამდენია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც თქვენი საშუალებით მიიღეს გარკვეული სამსახური?

–ეს პროექტი მეოთხე წელია მიმდინარეობს. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს რაიონში, სხვა დიდ ქალაქებთან შედარებით, მეწარმეები ცოტაა რაოდენობრივად, ვაკანსიებიც ნაკლებია, თანაც, უფრო ხშირად, სანათესაო კადრზე აკეთებენ არჩევანს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთან დასაქმება რეალურად არ ხდება. დასაქმდნენ კონსულტანტები, მიმტანები, მუშახელი. სკრაში იხსნება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, 22 ვაკანსია მოგვაწოდეს მშენებლების, მიმართვა გავეცით 14 ადამიანზე.

- სახელმწიფო რა თანხას ხარჯავს მათი გადამზადებისთვის?

–გააჩნია რომელ კოლეჯთან გვაქვს ხელშეკრულება დადებული, რა პროფესიული გადამზადება ხდება, დროის ხანგრძლივობა რამდენია, თანხაც შესაბამისად განისაზღვრება.

- როგორც ვიცით, ამუშავდა სახელმწიფო პროგრამა შმმ პირთა დასაქმების თაობაზე, უფრო დეტალურად რომ გვესაუბროთ ამის შესახებ...

–ეს პროგრამა ერთი თვის წინ დაიწყო. სულ, ჩვენს მუნიციპალიტეტში 2700 შმმ პირია(მნიშვნელოვანი, მკვეთრი და ზომიერი) დარეგისტრირებული. გაიმართა ინფორმაციული ხასიათის შეხვედრა, რომელიც კერძო სექტორის დაინტერესებას ისახავდა მიზნად. ამ შეხვედრას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია "უსინათლოთა და სუსტი მხედველობის მქონე პირთა დახმარებისა და დასაქმების ფონდი", რომლებთანაც გვაქვს კონტაქტი და ვახდენთ იმათ ინფორმირებას, ვინც დაინტერესებულია შმმ პირთა დასაქმების.

- გარდა კერძო სექტორის კეთილი ნებისა, სხვა რა ინტერესს უქმნის სახელმწიფო მათ თანამშრომლობისთვის?

–შშმ პირთა დამსაქმებლებს, სამი თვის განმავლობაში, სახელმწიფო უზრუნველყოფს ხელფასის ნახევრით, არაუმეტეს 460 ლარის. თუ სამი თვის განმავლობაში მათ ხელს შეუწყობს დამატებითი საჭიროებით, ერთი წლის განმავლობაში უგრძელდებათ ამ თანხის გადახდის ვადა. სამუშაოს დაწყებამდე, ხდება ამ ადამიანების გადამზადება მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაბამისად. რადგან პროგრამამ ახლა დაიწყო ფუნქციონირება, ჯერ მომართვა არ ყოფილა.

- თუ მოქალაქეს გაუშვებთ გადასამზადებლად და ეს უნდა მოხდეს სხვა ქალაქში, ეს ხომ მის ხარჯებთან იქნება დაკავშირებული?

–ნებისმიერ მოქალაქეს, სამთვიანი სტაჟირების შემთხვევაში, 150 ლარის ოდენობით ავუნაზღაურებთ გზის ხარჯებს. პრაქტიკულად, ესეც პროფესიული

უნარჩვევების შეძენაზე ხელშეწყობაა. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან გამოგზავნილ შეტყობინებაზე უარის შემთხვევაში, არ ნიშნავს, რომ მოიხსნენ ბაზიდან, აქ რეგისტრირებული მოქალაქეები რჩებიან ბაზაში და სასურველი ვაკანსიის შემთხვევაში, ვუკავშირდებით მათ, ვუკეთებთ მიმართვას დამსაქმებელთან.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი სამსახური, არის დასაქმების რეალური საშუალება, რომელსაც სამომავლო პერსპექტივა გააჩნია?

–რა თქმა უნდა, ადამიანს უზარმაზარი რესურსი აქვს, რომლის გამოყენება სხვადასხვა საშუალებებით უნდა მოხდეს. ერთ-ერთია ჩვენი სამსახური. აქაა ძირითადი პრინციპი-სწრაფი კავშირი-დამსაქმებელსა და სამსახურის მაძიებელს შორის. ჩვენი მიზანია ადამიანურ რესურს ფორმირება მივცეთ, ვიცოდეთ, რამდენი კადრი გვყავს, რა ტიპის, მოხდეს მათი იმ კუთხით გადამზადება, რისი საჭიროება და მოთხოვნილებაც არის. სადაც გვაქვს ვაკანსიები, შემოთავაზებები და ნაკლები პროფესიონალები-მათ გადამზადებაზე ავიღებთ აქცენტს, რომ ეს კადრები გვყავდეს. ეს, თავისთავად, ქმნის ოპტიმიზმის საფუძველს.

- ბატონო გოჩა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენი საუბრის თემა არაა, სხვა სოციალურ სიახლეებზეც გვითხარით, რომელიც ჯანდაცვის კუთხით მიმდინარეობს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობის ყველა კატეგორიისთვის

–ჩვენი მოსახლეობისთვის დიდ პრობლემას მედიკამენტების შეძენა წარმოადგენს. დაახლოებით 300 მედიკამენტზე ჯანდაცვის სამინისტრო დააწესებს ზღვრულ ფასებს, ასევე, სციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, ქრონიკული დაავადებების მედიკამენტები(არტერიული წნევის, შაქრიანი დიაბეტის) აბებში, გაიცემა უფასოდ, რაც, ვფიქრობ, დიდ შვებას მისცემს მოსახლეობას. სხვა სიახლეებს, ეტაპობრივად მივაწვდი თქვენი გაზეთის მკითხველს.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №812

02 / მარტი / 2017 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განსახორციელებლად ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის 2017 წლის 10 თებერვალს გაფორმებული "ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" N5 ხელშეკრულების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ჯგუფი ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიებზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით დანართი №1-ის შესაბამისად. 2. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელში გარემოდან ამოსაღები მგლისა და ტურის რაოდენობა განისაზღვროს 5-5 ინდივიდით.

3. დაევალოს ჯგუფს, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის და ტურის რაოდენობის რეგულირება, მათი გარემოდან ამოღებით, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

4. დაევალოს ჯგუფის წევრებს, ადმინისტრაციულ ერთეულში, გამგებლის წარმომადგენლის მეშვეობით, დაუყოვნებლივ აცნობონ გამგეობას მგლის და ტურის გარემოდან ამოღების ღონისძიების დაწყების თაობაზე;

5. ჯგუფების წევრების მიერ მგლის და ტურის რაოდენობის რეგულირება, მათი გარემოდან ამოღებით უნდა განხორციელდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც გამორიცხავენ სხვა სახეობის გარეული ცხოველებისათვის ზიანის

მიყენებას და უზრუნველყოფენ გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს შენარჩუნებას. დაუშვებელია გარემოდან ამოღებული მგლის და ტურის ინდივიდის ან მისი ნაწილის გაყიდვა ან რაიმე ფორმით გასხვისება, იგი უნდა განადგურდეს გამგეობის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ეცნობოს გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს, ჯგუფის წევრებს, გამგებლის წარმომადგენლებს.

7. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

გამგებელი **გიორგი გურასპაშვილი**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურ ჯგუფს 5 მგლისა და 5 ტურის „ამოღების" ნებართვა მიეცა

ჩვენს რაიონში, მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების

დაცვის სამინისტრომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გააფრომა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის გამგეობა კისრულობს შემდეგ ვალდებულებას: თავიდან ააცილოს მოსახლეობას გარეული ცხოველისაგან მოსალოდნელი თავდასხმა და თავდასხმისაგან გამოწვეული ზიანი. ბრძანება ძალაში შევიდა 2017 წლის 2 მარტიდან.

ივანე ლოლაძე(მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი): მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა გარეული ცხოველების თავდასხმის გახ-

შირებულ შემთხვევებს, მივმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. სამინისტრომ, აღნიშნულ თემაზე პროექტი წარუდგინა მთავრობას. პროექტი მოწონებულ იქნა მთავრობის სხდომაზე, რომლის შემდგომაც გაფორმდა ხელშეკრულება ხაშურის მუნიციპალიტეტთან. მუნიციპალიტეტის გამგებელმა კი, გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, შეიქმნა 87 კაციანი ჯგუფი, რომელთაც დაევალათ, რაიონის მთელი ტერიტორიიდან, 5 მგლისა და 5 ტურის „ამოღება". ამ ჯგუფში შედის მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებმაც თავად გამოთქვეს სურვილი მონაწილეობისა და რომლებიც არიან მონადირეები და აქვთ იარაღის ფლობის უფლება. აღნიშნულ საკითხზე სწრაფი რეაგირება მოვახდინეთ მას შემდეგ, რაც იმატა გარეული ცხოველების თავდასხმის ფაქტებმა, რომლებსაც მოსახლეობის გახშირებული განცხადებებიც ადასტურებდა. განცხადებები შემოვიდა სურამიდან, ფლევიდან, ოსიაურიდან. მაგალითად, ოსიაურში 15 ცხვარი დაგლიჯა მგელმა. აქვე, დავამატებ იმასაც, რომ თუ გარეული ცხოველის მხიდან თავდასხმის საშიშროებაა, უშუალოდ, ადამიანზე ან შინაურ ცხოველზე, პიროვნებას შეუძლია ცხოველის მოკვლა, თუმცა, აუცილებლად გვატყობინებს ფაქტის შესახებ. დაუშვებელია გარემოდან ამოღებული მგლის ან ტურის ინდივიდის ან მისი ნაწილის გაყიდვა ან რაიმე ფორმით გასხვისება, იგი უნდა განადგურდეს გამგეობის შესაბამისი სამსახურების მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, 2014 წელს გამოცემულ ბრძანებაში, თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, გარეულ ცხოველთა რეგულირების წესები, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია მოსახლეობის მხრიდან. დებულების მიზანია, უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის აცილება, ასევე, აწესრიგებს გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების ღონისძიებებთან დაკავშირებულ ძირითად ურთიერთობებს, რადგანაც აკრძალულია გარეული ცხოველების თვითნებური რეგულირება.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მათ ქონებას და ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია, თავდასხმის მომენტში, გარეული ცხოველის გარემოდან ამოღება, შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ და აღნიშნული არ საჭიროებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინასწარ თანხმობას. ბრძანებაში, ასევე, საუბარია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ საფრთხეებზე და, აქედან გამომდინარე, შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკაზე. გარეულ ცხოველთა რეგულირება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური, სასოფლო-სამეურმნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ადამიანისათვის და შინაური ცხოველებისათვის სახიფათო ეპიდემიის გავრცელების საშიშროება. ამ რეგულაციების განხორციელების საფუძველია სამინისტროსადმი საქართველოს სოფლის მეურნეობის ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილობითი განცხადება – სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური საფრთხის არსებობიდან გამომდინარე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს რეგულირების საჭიროებას დაქვემდებარებული გარეული ცხოველის სახეობა, რაოდენობა, გარეული ცხოველის მიერ წარმოქმნილი საფრთხის აღწერა და ზიანსდაქვემდებარებული ტერიტორია. სამინისტრო, განცხადების განხილვის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას გარეული ცხოველის რეგულირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, რომელიც ხორციელდება „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის კოდექსით".

თ. ახალაძე

კარგი მაგალითი, კარგი ინიციატივა

ნებისმიერი საქმის კეთებაში მნიშვნელოვანია, ჩვენი, თითოეული მოქალაქის ჩართულობა. სახელმწიფოს ვერც ერთი პროექტი ვერ განხორციელდება ჩვენი უშუალო მონაწილეობის გარეშე, ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც თანავცხოვრობთ, ვქმნით მომავალს და ვუფრთხილდებით წარსულს. ამის მაგალითია სოფელ პატარა ფლევის მოსახლეობის ინიციატივა, გაეშენებინათ ფიჭვნარი.გასულ წელს, აქ სასმელი წყლის პრობლემა მოიხსნა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გაკეთდა ჯებირი. მადლიერმა მოსახლეობამ კიდევ ერთი აგური დადო მათივე სოფლის მშენებლობაზე. გამგეობის კოორდინაციის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა მიხეილ კაპანაძემ მოგვიყვა, როგორი ერთსულოვნება იყო სოფელში, რომელიც სამომავლოდაც გაგრძელდება:

–გასულ წელს, სოფელ პატარა ფლევის ცენტრში, ისტორიულ წყაროსთან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, გაკეთდა ჯებირი. უკვე წელს, მოსახლეობამ გადაწყვიტა ეს ადგილი დასვენებისა და რეკრეაციის ადგილად ექცია. მათივე ინიციატივით, დაირგო ფიჭვის 50 ნერგი, რომელიც გარემოს დაცვის სამსახურმა უსასყიდლოდ გადასცა. ასევე, მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად გადაეცათ დასასვენებელი სკამები, რომელიც დაიდგმება ამავე სკვერში. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამაში ჩართული იყო მთლიანად სოფლის მოსახლეობა, რომლისთვისაც ეს ერთჯერადი ქმედება არ იქნება, მოუვლიან და იზრუნებენ ნარგავებზე, იმედი მაქვს, ეს ადგილი მათი დასვენებისა და თავშეყრის ადგილად იქცევა.

თ. ჯავახიშვილი

ემზადებიან რკინიგზელთა პროფკავშირის ყრილობისათვის

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, 2017 წლის 22 აპრილს მოწვეულია მორიგი XIV საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, შესაბამისად, პროფკავშირის სტრუქტურულ ერთეულებში დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, მათ შორის, ხაშურის კვანძზეც.

კვანძზე გაერთიანებულია სულ 9 ორგანიზაცია: სალიანდაგო სამმართველოს, სავაგონო და სალოკომოტივო დეპოების, სადგურების ხაშურისა და გორის, ელექტრომომარაგების, სიგნალიზაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს და აღმდგენი მატარებლის პირველადი პროფორგანიზაციები. აქედან, 5 მსხვილ ორგანიზაციაში ჩატარდა კონფერენციები, დანარჩენში კი კრებები. თითქმის ყველა ორგანიზაციის საარჩევნო კონფერენციების და კრებების მიმდინარეობაში მონაწილეობას იღებდა რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე ზურაბ ნასარაია. ყველა ორგანიზაციაში გამოყოფილი კვოტების (50 წევრზე 1 დელეგატი) მიხედვით, არჩეული იქნენ ყრილობის დელეგატები შესაბამისი რაოდენობით. ამჟამად მიმდინარეობს საარჩევნო კამპანიის დროს ორგანიზაციებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, წინადადებების თუ დასმული საკითხების გაანალიზება-სისტემაში მოყვანა, რომელიც შემდეგ წარედგინება ყრილობას განსახილველად.

კვანძის პროფორგანიზაციების თავმჯდომარეთა შემადგენლობის უმეტესობა არჩეული იყო ბოლო 1-2 წლის განმავლობაში, ამიტომ 9 ორგანიზაციიდან შეიცვალა მხოლოდ ერთი თავმჯდომარე – სიგნალიზაციისა და ბლოკირების სამმართველოში. კომიტეტები კი გადახალისებულნი იქნენ ყველგან. მონაწილეები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ თავმჯდომარისა და კომიტეტების მუშაობით. მათი მუშაობა ყველგან შეფასებული იქნა დადებითად.

ჯორჯაძის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მაისი ბოლოს დასრულდება

ჯორჯაძის ქუჩაზე (ე.წ შლუეურის დასახლება) სწაფი ტემპით მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა. ქალაქის ამ უბნის მცხოვრებლებს საკმაოდ შორ მანძილზე უხდებოდათ პატარების ბაღში ტარება და ივნისის დასაწყისში მათთვის ეს პრობლემა მოგვარდება. მუნიციპალიტეტმა, ტენდერის საფუძველზე, ხელშეკრულება შპს „შენბენთან" გააფორმა და დღეისათვის მშენებლები აქტიურად მუშაობენ, რომ სამშენებლო სამუშაოები დროულ ვადებში დაამთავრონ. მშენებლობის სარეთო ღირებულება 100 000 ლარზე მეტია. ბაღისათვის გამოყენებულ იქნა V საჯარო სკოლის გამოთავისუფლე

ბული ფართი, რომელიც განათლების და მეცნიერების სამინისტროს ნებართვით, დროებითი სარგებლობის უფლებით, 5 წლიანი იჯარით აიღო მუნიციპალიტეტმა და 5 წლის შემდეგ ხელშეკრულება გაგრძელდება.

საბავშვო ბაღი, დაახლოებით 75-100 ბავშვისთვისაა გათვალისწინებული და მის მშენებლობას მუნიციპალიტეტის გამგეობა აფინანსებს.

ხცისის ბიბლიოთეკა ახალი წიგნებით შეივსო

ყველასათვის სასიხარულო ფაქტი იყო, როდესაც, რამდენიმე თვის წინ, ხცისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბიბლიოთეკა გაიხსნა. ეტაპობრივად მოხდა მისი აღჭურვა და წიგნადი ფონდიც ნელ-ნელა შეივსო. გასულ თვეს, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემაც გადასცა ბიბლიოთეკას წიგნები. წლების განმავლობაში, სოფლის ბიბლიოთეკებს დახურვის საფრთხე ემუქრებოდა, თუმცა, გიორგი კეკელიძეს ინიციატივით, საყოველთაო პროექტს ჩაეყარა საფუძველი, სახელწოდებით, „ეკვილიბრიუმი", რომელმაც სოფლის ბიბლიოთეკებს ახალი სიცოცხლე მისცა. პროექტის ფარგლებში, ბიბლიოთეკები, მათ შორის ხცისის ბიბლიოთეკაც, აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და მოხდა კადრების კვალიფიციური გადამზადება.

ბოლო აქტივობა კი ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ განახორციელა, ხცისის ბიბლიოთეკას შეუძინა საბავშვო ლიტერატურა, რაც ხელს შეუწყობს ხცისის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ბავშვებში წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას.

- რაგბი -

გია ხარაიშვილი 18 წლამდელთა, გურამ გოგიჩაშვილი კი - 20 წლამდელთა ნაკრებებში ემზადებიან

სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჩვენს ქალაქში რაგბზე საუბარიც კი არ იყო. გვყავდა (გვყავს) მხოლოდ ერთი ძველი თაობის ცნობილი რაგბისტი (**თემურ რუხაძე**), რომელმაც თბილისის გუნდთან ერთად მიაღწია დიდ წარმატებებს და მაშინდელი საკავშირო მასშტაბით აღიარებული რაგბისტი იყო. ამ ბოლო ათ წელიწადში კი მართლაც საოცრება მოხდა და დღეს, ხაშური რაგბის ერთ-ერთ მძლავრ კერად ითვლება საქართველოში. მოზარდთა და ბავშვთა „ა“ თუ „ბ“ ლიგებში ჩვენი რაგბისტები ტოლს არავის უდებენ და მუდამ ფავორიტთა შორის არიან. ამაში კი, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელების **დავით სტეფანოვის** და **არსენ გიორგაძის** დამსახურებაა. მათ, ბოლო წლებში, **კახა აბრამაშვილმაც** აუბა მხარი და მისი დამოძღვრილი სურამის რაგბისტთა გუნდიც ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. ჩვენი რაგბის წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ აქაური რაგბისტები რეგულარულად ხვდებიან საქართველოს სხვადასხვა ასაკის რაგბისტთა შემადგენლობაში. გასულ წელს კი **გურამ გოგიჩაშვილი** მსოფლიოს 18 წლამდე ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

გურამ გოგიჩაშვილი

არც ამჯერადაა საქართველოს 18 და 20 წლამდე ნაკრებები ჩვენი რაგბისტების გარეშე წარმოდგენილი: 18 წლამდელებს ერთ თვეში ევროპის ჩემპიონატი ელით და ამჟამად საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში გადიან წვრთნას. მათ რიგებში კი ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილი **გია ხარაიშვილიცაა** (ბურჯი). 20 წლამდელებში კი უკვე შეუცვლელ მორაგბედ ითვლება **გურამ გოგიჩაშვილი** (ბურჯი). სხვათაშორის, 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს წელს, მაისში, საქართველო უმასპინძლებს და არის შანსი, რომ გურამი მსოფლიო ჩემპიონადაც მოგვევლინოს (ღმერთმა ქნას!).

წარმატებები ჩვენს ახალგაზრდა მორაგბეებს!

გია ხარაიშვილი

IV საჯარო სკოლის გუნდი - ინტელექტუალური თამაშის ფინალში

ხაშურის მუნიციპალიტეტის IV საჯარო სკოლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალურ თამაშ „რა? სად? როდის?“ ფინალურ შეხვედრაში, რომელიც 10 მარტს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ინტელექტუალური თამაში 3 ეტაპისგან შედგებოდა და ის საქართველოს ყველა რაიონს, შემდეგ კი რეგიონს მოიცავდა. აქციის მიზანი რეგიონებში ბიბლიოთეკების პოპულარიზაცია, მკითხველების მოზიდვა და მათ ცნობიერებაში წიგნებისა და სამკითხველოების მიმართ ინტერესის ამაღლება იყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ინტელექტუალურ თამაშს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა მასპინძლობდა. რთულ და საინტერესო შეჯიბრში IV საჯარო სკოლის გუნდმა პირველობა არავის დაუთმო და საქართველოს მასშტაბით იმ 19 გუნდს შორის მოხვდა, რომლებმაც თბილისში, ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

ხაშურის IV საჯარო სკოლის ინტელექტუალთა გუნდი ფინალზე ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით და ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაემგზავრა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მაშტაბით, საქართველოში პირველად ჩატარდა სოციალურ – საგანმანათლებლო კამპანია “ჩვენი მკითხველი”, რომელიც წარმოდგენილი იყო ინტელექტუალური თამაშის – “რა? სად? როდის?” სახით. თამაშის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ღონისძიების მხარდამჭერი კი – ინტელექტკლუბი “რა? სად? როდის?”.

ორგანიზატორების თქმით, აღნიშნული კამპანია სამომავლოდაც გაგრძელდება და უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს.

მოდიოდა თეთრი გოგო...
არჩილ სუთიაშვილის ფოტოეტიუდი

თეონა თომაძის ხსოვნას

ჩვენო დიდო ტკივილო და მოურჩენელო იარავ, როგორ გვიჭირს შენს შესახებ წარსულში საუბარი. გაოგნებულებს პასუხი არ გვაქვს კითხვაზე, რატომ? რისთვის?

გაზაფხულის მზიან დილას უჩუმრად გაგვეპარე და შენმა ლამაზმა სულმა ცათა სასუფეველში ინება დამკვიდრება.

20 წლის გოგონამ პირველად შემოაღე ჩვენი მეორე დიდი ოჯახის, სამსახურის კარი, 15 წელი ჩვენს გვერდით იყავი, გაიზარდე და ჩამოყალიბდი როგორც კარგი ინჟინერი და სპეციალისტი, მუდამ გვეიმედებოდი. საუკეთესო მეუღლე და დედა იყავი.

რით ვანუგეშოთ ერთ დროს უზომოდ ბედნიერი შენი ოჯახი? ერთი დაგვრჩენია, მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის, უფალს ვთხოვთ, ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქალაქის მიწა.

გემშვიდობებით გულნატკენები და ცრემლიანები,.
მშვიდობით, თეო!

უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს თანამშრომლები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.